# გამოყოფის გეგმა

## ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი“

1. ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი“-ს რეორგანიზაცია – გაყოფის (გამოყოფა დაფუძნების გზით) დაწყების შესახებ წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება დარეგისტრირდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში “საჯარო რეესტრი”) და აღნიშნული გადაწყვეტილება წინამდებარე გაყოფის გეგმასთან და თანართულ დოკუმენტებთან გამოქვეყნდება ორგანიზაციის ვებ გვერდებზე - biliki.ge; biliki.org.ge და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ავტორიზებულ პორტალზე – my.gov.ge;

2. ა(ა)იპ „**საზოგადოება ბილიკი**“-ს რეორგანიზაციის შედეგად ა(ა)იპ „**საზოგადოება ბილიკი**“-ს გამოეყოფა ერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - **„სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი“**;

3. ა(ა)იპ „**საზოგადოება ბილიკი**“-ს <u>რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები</u>:

3.1 რეორგანიზაციის შედეგად, არსებული „ასოციაცია“ - ა(ა)იპ „**საზოგადოება ბილიკი**“ განაგრძობს არსებობას უწყვეტად ყველა მოქმედი სამართლებრივი რეკვიზიტით, მათ შორის უცვლელად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, საიდენტიფიკაციო ნომრით, იურიდიული მისამართით და მის სახელზე გაცემული ნებისმიერი სახის, მათ შორის, ნებისმიერი ლიცენზიითა თუ ნებართვით, რომელიც მას ჰქონდა მოპოვებული რეორგანიზაციამდე, როგორც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

3.2 „ასოციაციის წევრების“ გადაწყვეტილებით დამტკიცდება ა(ა)იპ „**საზოგადოება ბილიკი**“-ს ახალი წესდება და სადამფუძნებლო შეთანხმება, იხ. **დანართი #1**-ის სახით;

3.3 ცვლილება განხორციელდება ა(ა)იპ „**საზოგადოება ბილიკი**“-ს გამგეობის შემადგენლობაში და განისაზღვროს შემდეგნაირად:

| სახელი, გვარი | დაბადების თარიღი | პირადი ნომერი | დაბადების ადგილი | საცხოვრებელი ადგილი | პროფესია |
|---|---|---|---|---|---|
| მარინე მღებრიშვილი | 05.01.1968 წ | 59001011066 | ქ. გორი | ქ.გორი, შ. რუსთაველის ქ. #19; | ეკონომისტი; სოციალური სამუშაოს მაგისტრი |
| ლია გორელიშვილი | 03.09.1973 წ | 59001037970 | ქ. გორი | ქ. გორი, შ. რუსთაველის ქ. #28 | პედაგოგი |
| ხვიჩა პოსოშვილი | 24.03.1987 წ | 59001035947 | ქ. გორი | ქ. გორი, ელიოზიშვილის 15/2 | ეკონომისტი; სოც. მუშაკი |

4. <u>რეორგანიზაციის შედეგად</u> არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი“-ს <u>რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები</u> ;

   4.1. „ასოციაციის“ რეორგანიზაციის, კერძოდ, გამოყოფის შედეგად წარმოქმნილი ორგანიზაციის სახელწოდება იქნება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - **„სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი“**

4.2. ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-ს დამფუძნებელ წევრებად განისაზღვრება:

| სახელი, გვარი | დაბადების თარიღი | პირადი ნომერი | დაბადების ადგილი | საცხოვრებელი ადგილი | პროფესია |
|---|---|---|---|---|---|
| მარინე მღებრიშვილი | 05.01.1968 წ | 59001011066 | ქ. გორი | ქ.გორი,შ.რუსთაველის ქ. #19; | ეკონომისტი; სოციალური სამუშაოს მაგისტრი |
| ლია გორელიშვილი | 03.09.1973 წ | 59001037970 | ქ. გორი | ქ.გორი,შ.რუსთაველის ქ. #28 | პედაგოგი |
| ხვიჩა პოსოშვილი | 24.03.1987 წ | 59001035947 | ქ. გორი | ქ.გორი,ელიოზიშვილის 15/2 | ეკონომისტი; სოც. მუშაკი |
| მარიამ გოჩიაშვილი | 17.07.1971 წ. | 59001018510 | ქ. გორი | ქ. გორი, ბაქოს ქ. 8/33 | ფსიქოლოგი |

4.3. ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-ს გამგეობის წევრებად განისაზღვრება:

| სახელი, გვარი | დაბადების თარიღი | პირადი ნომერი | დაბადების ადგილი | საცხოვრებელი ადგილი | პროფესია |
|---|---|---|---|---|---|
| მარინე მღებრიშვილი | 05.01.1968 წ | 59001011066 | ქ. გორი | ქ.გორი,შ.რუსთაველის ქ. #19; | ეკონომისტი; სოციალური სამუშაოს მაგისტრი |
| ლია გორელიშვილი | 03.09.1973 წ | 59001037970 | ქ. გორი | ქ.გორი,შ.რუსთაველის ქ. #28 | პედაგოგი |
| ხვიჩა პოსოშვილი | 24.03.1987 წ | 59001035947 | ქ. გორი | ქ.გორი, ელიოზიშვილის 15/2 | ეკონომისტი; სოც. მუშაკი |
| მარიამ გოჩიაშვილი | 17.07.1971 წ. | 59001018510 | ქ. გორი | ქ. გორი, ბაქოს ქ. 8/33 | ფსიქოლოგი |

4.4. ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-ს ერთპიროვნული წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი - თავმჯდომარე:

- მარინე მღებრიშვილი (საქართველოს მოქალაქე, დაბადებული: 05.01.1968 წ, პირადი N59001011066) რომელსაც მიენიჭება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება „ასოციაციის" წესდებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.5. ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი" იურიდიული მისამართად განისაზღვრება: საქართველო, ქ.გორი, შ. რუსთაველის ქ. #19ა;

4.6. ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-ს ელექტრონულ მისამართად განისაზღვრება: marimg4@gmail.com;

4.7. დამტკიცდება ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-ს წესდება და სადამფუძნებლო შეთანხმება წარმოდგენილი რედაქციით (დანართი #2).

5. საკითხი 4 - ქონების გაყოფასთან და <u>უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებული საკითხები</u>

5.1. რეორგანიზაციის შედეგად მოხდეს ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-სა და ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-ს შორის ქონებისა და უფლებავალდებულებების განაწილება დანართი #3 მიხედვით.

5.2. რეორგანიზაციის შედეგად ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს სრულად დარჩება ყველა ის აქტივი, რომელიც არ განისაზღვრება წინამდებარე გადაწყვეტილების დანართი #3-ით ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-სთვის გადასაცემად განსაზღვრული აქტივების ნუსხით.

5.3. ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს რეორგანიზაციის დასრულების შედეგად ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-ს გადაეცემა წინამდებარე გადაწყვეტილების დანართ #3-ში მითითებული აქტივები. შესაბამისად, ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი" წარმოადგენს „ასოციაციის" უფლებამონაცვლეს აღნიშნულ აქტივებთან დაკავშირებულ ნებისმიერ უფლება-მოვალეობაში, გარიგებასა თუ სამართალურთიერთობაში, რომელიც დადებულია/წარმოშობილია ან/და დაიდება/წარმოიშობა რეორგანიზაციის დასრულების თარიღამდე ან მის შემდეგ და ასევე, მოიცავს, ჩამოთვლილთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავაში, სამართალწარმოებაში თუ სააღსრულებო წარმოებაში უფლებამონაცვლეობასაც; აქტივი, რომელიც არ არის განსაზღვრული დანართ #3-ში, რჩება ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს საკუთრებაში.

5.4. ბუღალტრული მიზნებისთვის რეორგანიზაციის შედეგად გამოყოფილი ორგანიზაციის გარიგებები მიიჩნევა ახალი ორგანიზაციის რეგისტრაციის დასრულების თარიღი, ხოლო გამოყოფილი ახლად დაფუძნებული ორგაინზაციის ქონებასთან მიმართებაში, ასეთი უძრავი ქონების ახლად დაფუძნებულ ორგანიზაციის საკუთრებაში რეგისტრაციის დასრულების თარიღი.

6. საკითხი 5 - რეორგანიზაციის დასრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

6.1. დაევალოს ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს თავმჯდომარეს რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-სთვის გადასაცემი უძრავი ქონების საჯარო რეესტრში სათანადო ფორმით რეგისტრაცია.

გამოყოფის გეგმის დანართები:

დანართი # 1 ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი"-ს წესდებისა და სადამფუძნებლო შეთანხმების პროექტი;
დანართი #2 ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი" -ს წესდებისა და სადამფუძნებლო შეთანხმების პროექტი;
დანართი # 3 ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი" -სთვის გადასაცემი აქტივების ნუსხა.

დანართი #1

# სადამფუძნებლო შეთანხმება

(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* - სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

სამართლებრივი ფორმა --- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

*საფირმო სახელწოდება --- "საზოგადოება ბილიკი"

უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით

* საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე --- Society Biliki

უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

* იურიდიული მისამართი --- საქართველო, ქ. გორი, რუსთაველის ქ.N19ა

ორგანიზაციის ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი

ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი --- contact@biliki.ge, societybiliki@gmail.com

(არსებობის შემთხვევაში - ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინური შრიფტით)

ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი +995 599534045;

(არსებობის შემთხვევაში).

*დამფუძნებლები

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი

| სახელი, გვარი | დაბადების თარიღი | დაბადები ს ადგილი | პირადი ნომერი | საცხოვრებელი ადგილი | პროფესია |
|---|---|---|---|---|---|
| მარინე მღებრიშვილი | 05.01.68 წელი | ქ. გორი | 59001011066 | ქ. გორი, შ. რუსთაველის ქ. #19 | ეკონომისტი |
| ცისანა კანიაშვილი | 01.03.70 წელი | ქ. გორი | 59001058886 | ქ. გორი, შ. რუსთაველის ქ. #28 | პედაგოგი |
| ნინო მღებრიშვილი | 19.07.71 წელი | ქ. გორი | 59001019922 | ქ. გორი, გრ. რობაქიძის ქ. #21 | პედაგოგი |
| ლია გორელიშვილი | 03.09.73 წელი | ქ. გორი | 59001037970 | ქ. გორი, შინდისის #1/41 | პედაგოგი |
| სესილი გვერდწითელი | 20.08.37 წელი | ქ. გორი, | 59001030027 | ქ. გორი, ელ.სადგურის #4 | ინჟინერი |

*ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი/პირები

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია)

1. ასოციაციის თავმჯდომარე მარინე მღებრიშვილი

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი

(რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი; იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

მარინე მღებრიშვილი პ/ნ 59001011066, მისამართი - ქ. გორი, შ. რუსთაველის ქ. #19

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

Marimg4@gmail.com

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინური შრიფტით)

+ 995 5 99534035

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

მმართველი ორგანო: წევრთა საერთო კრება, გამგეობა

გამგეობის წევრები:

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

| სახელი, გვარი | დაბადების თარიღი | პირადი ნომერი | დაბადების ადგილი | საცხოვრებელი ადგილი | პროფესია |
|---|---|---|---|---|---|
| მარინე მღებრიშვილი | 05.01.68 წელი | 59001011066 | ქ. გორი | ქ.გორი, შ. რუსთაველის ქ. #19; | ეკონომისტი; სოციალური სამუშაოს მაგისტრი |
| ლია გორელიშვილი | 03.09.73 წელი | 59001037970 | ქ. გორი | ქ. გორი, შ. რუსთაველის ქ. #28 | პედაგოგი |
| ხვიჩა პოსოშვილი | 24.03.1987 წელი | 59001035947 | ქ. გორი | ქ. გორი, ელიოზიშვილის 15/2 | ეკონომისტი; სოც. მუშაკი |

* საქმიანობის მიზანი და ამოცანები:

- ასოციაციის ძირითადი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა;
- ქვეყანაში (რეგიონში) დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა;
- მოქალაქეთა მხარდაჭერა პროფესიული ზრდისა და განვითარების მიზნით;
- სამოქალაქო ინტერესების დაცვა და სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა;
- რეგიონული მმართველობისა და თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარება;
- კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება და ნდობის აღდგენის პროცესის ხელშეწყობა;
- მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა.

დანართი: წესდება

1. ........................................................................................................................ ................................
დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერა

2. ........................................................................................................................ ................................
დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერა

3. ........................................................................................................................
....................................დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი
ხელმოწერა

4. ........................................................................................................................
....................................დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი
ხელმოწერა

5. ........................................................................................................................
....................................დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი
ხელმოწერა

ხელმძღვანელობასა და წარმომომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირი
ასოციაციის თავმჯდომარე

..........................................................................................
ხელმოწერა

კრების მდივანი

..........................................................................................
ხელმოწერა

თარიღი: ------------------------------------

„საზოგადოება ბილიკი“

# წესდება

(2024 წლის ცვლილებებით, კონსოლიდირებული ვერსია)

2024 წელი

## 1. ზოგადი დებულებანი

1.1. ასოციაცია „საზოგადოება ბილიკი" (შემდგომში „ასოციაცია"), არის იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმებისა და ამ წესდების შესაბამისად;

1.2. ასოციაციის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (შემდგომში „ასოციაცია");

1.3. ასოციაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

1.4. ასოციაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, რუსთაველის ქ. #19/ა ;

1.5. ასოციაციის სახელწოდებაა ასოციაცია „საზოგადოება ბილიკი";

1.6. ასოციაციის ელექტრონული ფოსტა: contact@biliki.ge;

1.7. ასოციაციის ვებ.გვერდია: www.biliki.ge; biliki.org.ge;

## 2. მიზნები და ამოცანები

2.1. ასოციაციის ძირითადი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა;

2.2. ასოციაციის ამოცანებია:

2.2.1. ქვეყანაში (რეგიონში) დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა;

2.2.2. მოქალაქეთა მხარდაჭერა პროფესიული ზრდისა და განვითარების მიზნით;

2.2.3. სამოქალაქო ინტერესების დაცვა და სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა;

2.2.4. რეგიონული მმართველობისა და თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარება;

2.2.5. კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება და ნდობის აღდგენის პროცესის ხელშეწყობა;

2.2.6. მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა.

## 3. ასოციაციის საქმიანობის ფორმები

3.1. ასოციაცია დასახული მიზნების მისაღწევად:

ა) უზრუნველყოფს ბავშვების, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის მიზანმიმართულ დაგეგმვას და გამოყენებას;

ბ) ორგანიზებას უკეთებს მოსწავლე - ახალგაზრდობის დასვენების პროცესს შემეცნებით -საგანმანათლებლო საქმიანობასთან კომპლექსში;

გ) ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ სასკოლო საგნების ათვისებას სკოლისგარეშე შემეცნებითი მუშაობის ჩატარებით;

დ) პოპულარიზაციას უწევს და ნერგავს ახალ, პროგრესული სასწავლო მეთოდიკებს სასწავლო პროცესში;

ე) ხელს უწყობს სასწავლო რეფორმების განხორციელებას;

ვ) მხარს უჭერს სასწავლო დაწესებულებების ბავშვების, სტუდენტების ჯგუფის ინიციატივებს და ეხმარება მათ რეალიზაციაში;

ზ) ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის მიერ საკუთარი უფლებების გაცნობის პროცესს;

თ) დახმარებას უწევს სოციალურად დაუცველ კატეგორიებს, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს, ხელმოკლე ოჯახთა შვილებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებს, მათ ოჯახებს და სხვა მოწყვლად

ჯგუფებს, მათ შორის ხანდაზმული ასაკის კატეგორიას; შეისწავლის და გამოიკვლევს საზოგადოების, მათ შორის მოზარდების, ახალგაზრდების აზრს სხვადასხვა საკითხების შესახებ;

ი) პოპულარიზაციას უწევს საზოგადოებრივ/სამოქალაქო სექტორს ახალგაზრდებში და მთლიანად საზოგადოებაში;

კ) აწყობს შეხვედრებს, დისკუსიებს მოზარდებთან, ახალგაზრდებთან მოზარდთა აღზრდასთან და განათლებასთან დაკავშირებით;

ლ) აწყობს შეხვედრებს, ექსკურსიებს, სხვადასხვა ტიპის ექსპედიციებს მოზარდების და ახალგაზრდების ბუნებასთან მჭიდრო კავშირის უზრუნველსაყოფად და სასწავლო პროცესის შესავსებად;

მ) აწყობს სეზონურ გამაჯანსაღებელ ბანაკებს დასვენებისა და შემეცნებითი მუშაობის შერწყმით სხვადასხვა მიმართულების, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისაგან;

ნ) ქმნის სხვადასხვა მიმართულების მქონე მოსწავლეთა სკოლისგარეშე ჯგუფებს და ატარებს მეცადინეობებს;

ო) ორგანიზებას უკეთებს თემატურ კონკურსებსა და შეჯიბრებს;

პ) ქმნის სასწავლო დაწესებულებას/დაწესებულებებს;

ჟ) კონსულტაციებს უწევს ბავშვებს სასწავლო პროცესისათვის მზადებაში; ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიულ კვალიფიკაციის ამაღლებას;

რ) აღრიცხავს და იკვლევს ქუჩაში გამოსულ, მზრუნველობას მოკლებულ, ლტოლვილ, დევნილ ბავშვებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების, ახალგაზრდების და სხვა მოწყვლადჯგუფებისთვის, მათ შორის ხანდაზმული კატეგორიისათვის მდგომარეობას. ქმნის პანსიონს/ სათემო, მათ შორის 24 საათიან მომსახურებას;

ს) ახორციელებს პროგრამებს სხვადასხვა კატეგორიის ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდათა მხარდასაჭერ და სხვა მოწყვლად ჯგუფებისთვის, მათ შორის ხანდაზმული კატეგორიისათვის;

ტ) ქმნის სალექციო-საგამოფენო დარბაზს; ქმნის ბიბლიოთეკებს;

უ) ქმნის 0-დან 18 წლის ბავშვების, მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმული კატეგორიის ფსიქო-სოციალურ, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო ცენტრებს;

ფ) აწარმოებს საგამომცემლო საქმიანობას;

ქ) ქმნის საინფორმაციო სამსახურს;

ღ) წარმართავს და მონაწილეობას იღებს კვლევით მუშაობაში;

ყ) ურთიერთობას ამყარებს ანალოგიური მიზნების მქონე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თანამშრომლობს სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივ სექტორთან;

შ) ახორციელებს ინკლუზიური განათლების ხელშემწყობ პროექტებს;

ჩ) ახორციელებს სკოლამდელი აღზრდის ხელშემწყობ პროექტებს;

ც) კანონმდებლობით დადგენილი წესით ასოციაცია ეწევა სამეურნეო და საწარმოო საქმიანობას საწესდებო ამოცანების შესრულების მიზნით; ასოციაციის მიზნების შესაბამისად ქმნის და ავითარებს სოციალურ საწარმოებს;

ძ) ამყარებს მჭიდრო კავშირს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, რითაც ახდენს საზოგადოების საქმიანობის გაშუქებას;

ხ) ახორციელებს კანონით ნებადართულ საქმიანობას ასოციაციის მიზნების შესაბამისად;

ჯ) გეგმავს და წარმართავს ადვოკატირების კამპანიებს;

ჰ) ახორციელებს ადგილობრივი თემის განვითარების და გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ პროექტებს.

## 4. ასოციაციის წევრობა

4.1. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს და იცავს ამ წესდების მოთხოვნებს;

4.2. ასოციაციის წევრად მიღება და წევრობიდან გასვლა ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. წევრად მისაღებად აუცილებელია ასოციაციის არანაკლებ ორი წევრის წერილობითი რეკომენდაცია. გადაწყვეტილებას წევრად მიღების შესახებ იღებს გამგეობა განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

4.3. ასოციაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას;
გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
დ) გარდაცვალებისას;
4.3.1. ასოციაციის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ასოციაციის თავმჯდომარე ინფორმაციას აწვდის გამგეობას.

4.4. ასოციაციის წევრი საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს თუ:
ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს;
ბ) იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას;
გ) გამგეობის წარდგინებით სიითი შემადგენლობის 2/3-ის გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან;
დ) თუ სისტემატურად არ ესწრება წევრთა საერთო კრებებს და არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

4.5. ასოციაციის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ;
4.6. პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ასოციაციის საქმიანობას, ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ასოციაციის საპატიო წევრად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება ასოციაციის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი;
4.7. ასოციაციიდან გარიცხულ პირს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

## 5. ასოციაციის წევრთა უფლება-მოვალეობანი

5.1. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:
ა) მონაწილეობდეს ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში;
ბ) აირჩიოს და არჩეული იქნეს ასოციაციის ორგანოებში;
გ) შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ასოციაციის პროგრამებში;
დ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობისა სხდომებში;
ე) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან მათი საქმიანობის შესახებ;
ვ) ასოციაციის მიზნების შესაბამისად ისარგებლოს ასოციაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

5.2. ასოციაციის წევრი ვალდებულია:
ა) დაიცვას ასოციაციის წესდება და შინაგანი წესი;
ბ) გაუფრთხილდეს ასოციაციის საქმიან რეპუტაციას, ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს ასოციაციის საქმიანობაში;
დ) გადაიხადოს საწევრო შესატანი გამგეობის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

## 6. ასოციაციის მმართველი ორგანოები
## (საერთო კრება და გამგეობა)

საერთო კრება

6.1. ასოციაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება. საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ დეკემბრის თვის მეორე ორშაბათს, ხოლო რიგგარეშე საერთო კრება - როცა ამას ასოციაციის ინტერესები მოითხოვს. საერთო კრების მოწვევა ხდება ასოციაციის გამგეობის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ;
საერთო კრების წევრებს კრების მოწვევის შესახებ კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის მითითებით, ეცნობებათ წერილობით, მათ შორის ელ. ფოსტით კრებამდე 7 დღით ადრე, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ;
6.1.1. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა ნახევარზე მეტი მაინც;
6.1.2. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, გამგეობა ორი კვირის ვადაში იგივე წესით მოიწვევს განმეორებით საერთო კრებას, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად;
6.1.3. კრების მუშაობას ხელმძღვანელობს ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც შეიმუშავებს კრების დღის წესრიგს და უზრუნველყოფს მის ჩატარებას. ღია კენჭისყრით აირჩევა კრების მდივანიც;

6.2. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ან წესდების ახალი რედაქციის მიღების თაობაზე - 2/3-ის უმრავლესობით. გადაწყვეტილება ნამდვილია მაშინ, თუ საკითხი კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით;
6.2.1. საერთო კრების ჩატარებისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დგება ოქმი. კრების გადაწყვეტილება ფორმდება კრების ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ ასოციაციის თავმჯდომარე და კრების მდივანი. საერთო კრების გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, გარდა იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც ძალაში შედის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისას;
6.2.2. საჭიროებისამებრ ასოციაციის საერთო კრება შეიძლება იქნეს მოწვეული ონლაინ რეჟიმში. ამ ფორმით ჩატარებულ სხდომაზე ვრცელდება იგივე წესი რაც წესდების 6.1. - 6.2.2. პუნქტებით არის გათვალისწინებული.

6.3. საერთო კრებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში :
ა) შეაქვს ცვლილებები წესდებაში ან ამტკიცებს წესდების ახალ რედაქციას;
ბ) ღია ან ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის გამგეობის წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში დაუყონებლივ იმართება ხელახალი კენჭისყრა იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც დააგროვებს ხმების უმრავლესობა;
გ) ისმენს ასოციაციის თავმჯდომარის წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარადგენს ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;
დ) იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის თაობაზე;
ე) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება გამგეობის კომპეტენციას.

6.4. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა:
- ასოციაციის გამგეობის მიერ საკუთარი ინიციატივით;
- თავმჯდომარის ან ასოციაციის წევრთა მეათედის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;

გამგეობა

6.5. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა 3 წევრისაგან შემდგარი გამგეობა, რომლიდანაც 1 წევრს 10 წლის ვადით ღია ან ფარული კენჭისყრით ირჩევს საერთო კრება ასოციაციის წევრთაგან ან/და არაწევრ პირებიდან ასოციაციის წევრის წარდგინებით, ხოლო გამგეობის 2 წევრი არის გამგეობის მიერ არჩეული ასოციაციის თავმჯდომარე და ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ახალი გამგეობის არჩევნებამდე;

6.6. გამგეობის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ და მოიწვევა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის წევრთა 1/3 -ის მოთხოვნით წელიწადში ერთხელ მაინც. გამგეობის წევრებს გამგეობის მოწვევის შესახებ გამგეობის სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის მითითებით, ეცნობებათ წერილობით, მათ შორის ელ. ფოსტით სხდომამდე 7 დღით ადრე, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ;
6.6.1. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
6.6.2. გამგეობის სხდომებს ხელმძღვანელობს ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც შეიმუშავებს გამგეობის სხდომის დღის წესრიგს და უზრუნველყოფს გამგეობის სხდომის ჩატარებას. ღია კენჭისყრით აირჩევა სხდომის მდივანი;
6.6.3. გამგეობის სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით;
6.6.4 გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ ასოციაციის თავმჯდომარე და მდივანი, გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, გარდა იმ გადაწყვეტილებისა რომელიც ძალაში შედის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისას;

6.7. საჭიროებისამებრ გამგეობის სხდომა შეიძლება იქნეს მოწვეული ონლაინ რეჟიმში. ამ ფორმით ჩატარებულ გამგეობის სხდომაზე ვრცელდება იგივე წესი, რაც წესდების 6.6. – 6.6.4 პუნქტებით არის გათვალისწინებული.

6.8. გამგეობის წევრს ვადამდე უფლებამოსილება უწყდება:
ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას;
გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
დ) გარდაცვალებისას;
6.8.1. გამგეობის წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის თავმჯდომარე, რის თაობაზეც ინფორმაციას აწვდის გამგეობას და საერთო კრებას;
6.8.2. გამგეობის წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილს უფლებამონაცვლეობის პრინციპით იკავებს ის პირი, ვინც გამგეობის წევრთა არჩევის დროს მეტი ხმა დააგროვა. გამგეობის ახალი წევრის უფლებამოსილება გრძელდება გამგეობის ახალი ვადით არჩევნებამდე;
6.8.3. არჩეული გამგეობის წევრი საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს თუ:
ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს;
ბ) იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას;

6.9. გამგეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში :
ა) ასოციაციის წევრთაგან ღია ან ფარული კენჭისყრით ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარეს და მისი წარდგინებით ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილეს;

ბ) მოიწვევს წევრთა საერთო კრებას და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მის გამართვას;
გ) თანხმობას აძლევს ასოციაციის თავმჯდომარეს მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის პროგრამებში/პროექტებში შესაბამისი ანაზღაურებით;
დ) ასოციაციის თავმჯდომარიის წარდგინებით ამტკიცებს 5 წლიან სტრატეგიულ გეგმას. ისმენს ასოციაციის ყოველწლიურ სიტყვიერ/თემატურ და ფინანსურ ანგარიშებს;
ე) თავმჯდომარის წარდგინებით ღია ან ფარული კენჭისყრით ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილეს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით;
ვ) ფარული კენჭისყრით წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს ასოციაციის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს;
ზ) ღია ან ფარული კენჭისყრით წყვეტს ასოციაციის წევრად მიღების საკითხებს. ადგენს საწევრო შენატანის ოდენობასა და განსაზღვრავს საწევრო შენატანის გადახდის წესს;
თ) გამგეობის წევრები თავისი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციებს უწევენ ასოციაციას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
ი) ირჩევს ასოციაციის ბეჭდითი ორგანოს სარედაქციო საბჭოს;
კ) იღებს სხვა გადაწყვეტილებებს ასოციაციის საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ლ) ასოციაციის თავმჯდომარეს აძლევს თანხმობას ასოციაციის მიზნების შესაბამისად შექმნას და განავითაროს:
ლ.1. სოციალურ საწარმოები;
ლ.2. 0-დან 18 წლის ბავშვების ფსიქო-სოციალურ, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო ცენტრები და სამეურნეო და სამეწარმეო ობიექტები, პანსიონი/სათემო, მათ შორის 24 საათიანი მომსახურების ობიექტები;
ლ.3. სასწავლო დაწესებულებები;
ლ.4. გაერთიანდეს სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან (კოალიცია);
ლ.5. ჩამოაყალიბოს სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირები და მონაწილეობა მიიღოს მათ მართვაში და საქმიანობაში;
ლ.6. სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პრებთან ან/და ფიზიკურ პირებთან ერთად ჩამოაყალიბოს სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და მონაწილეობა მიიღოს მათ მართვაში და საქმიანობაში;
მ) ასოციაციის თავმჯდომარეს აძლევს თანხმობას შეიძინოს და განკარგოს უძრავი და მოძრავი ქონება "საზოგადოება ბილიკის" საწესდებო მიზნების მისაღწევად;
ნ) ასოციაციის თავმჯდომარეს აძლევს თანხმობას განკარგოს ასოციაციის ფულადი სახსრები და მატერიალური რესურსები და აკისრებს პასუხისმგებლობას მათ სწორ გამოყენებაზე; ხელი მოაწეროს ასოციაციის ოფიციალურ და ფინანსურ დოკუმენტაციას;
ო) დებს ასოციაციის თავმჯდომარესთან სასამსახურო ხელშეკრულებას, რომლითაც გამგეობა აძლევს ასოციაციის წარმომადგენლობით და ხელმძღვანელობით უფლებას, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე უხელმძღვანელოს პროექტებს/პროგრამებს, მონაწილეობა მიიღოს პროექტების განხორციელებაში და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება.

**ასოციაციის თავმჯდომარე**

6.10. ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ასოციაციის თავმჯდომარე;
6.10.1. ასოციაციის თავმჯდომარეს გამგეობა ასოციაციის წევრთაგან ირჩევს 1 წლის ვადით, ხელახლა არჩევის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება მისი

უფლებამოსილების ახალი ვადის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული თავმჯდომარის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა;

6.10.2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ასოციაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. თავმჯდომარე თავის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად;

6.10.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს ასოციაციის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თავმჯდომარეს აქვს ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;

6.10.4 ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის გამგეობის სხდომების თავმჯდომარე;

6.10.5 ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ასოციაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ორი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს;

6.10.6. თავმჯდომარეს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, თავმჯდომარე ვალდებულია დაიცვას ორგანიზაციასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები;

6.10.7. ასოციაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი არის ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

6.11. თავმჯდომარე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად; ბ) წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გ) ახორციელებს ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე;

დ) განკარგავს ასოციაციის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე. ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;

ე) იწვევს საერთო კრებას და გამგეობის სხდომებს. ხელმძღვანელობს და წარმართავს გამგეობის საქმიანობას;

ვ) შეიმუშავებს ასოციაციის 5 წლიან სტრატეგიულ გეგმას ორგანიზაციის თანამშრომლებთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის გამგეობას. სტრატეგიული გეგმის შედგენა/შემუშავების პროცესში თავმჯდომარე უფლებამოსილია პროცესში ჩართოს ორგანიზაციის სტრატეგიული მომხმარებლიდან გამომდინარე ექსპერტები და დაინტერესებული პირები;

ზ) სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს ასოციაციის მომსახურე პერსონალს, თანამშრომლებს;

თ) ასრულებს ამ წესდებით, შინაგანაწესით და მოქმედი კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს;

ი) ამტკიცებს ასოციაცია "საზოგადოება ბილიკის" შინაგანაწესს;

კ) ამტკიცებს განსახორციელებელი პროგრამების პროექტებს;

ლ) დებს ხელშეკრულებებს პროგრამებთან/პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე ასოციაციის სახელით;

მ) გამგეობის თანხმობით ასოციაციის მიზნების შესაბამისად ქმნის და ავითარებს:

მ.1. სოციალურ საწარმოებს,

მ.2. 0-დან 18 წლის ბავშვების ფსიქო-სოციალურ, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო ცენტრებსა და სამეურნეო და სამეწარმეო ობიექტებს, პანსიონს/სათემო, მათ შორის 24 საათიანი მომსახურების ობიექტებს;

მ.3. სასწავლო დაწესებულებებს;

მ.4. აერთიანებს ასოციაციას სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პრებთან (კოალიცია);

მ.5. აყალიბებს სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს;

ნ) ქმნის სალექციო-საგამოფენო დარბაზს;

ო) ქმნის ბიბლიოთეკებს;

პ) აწარმოებს საგამომცემლო საქმიანობას;

ქ) ქმნის საინფორმაციო სამსახურს;
ღ) ახდენს უძრავი და მოძრავი ქონების შეძენას და განკარგვას „საზოგადოება ბილიკი" -ს საწესდებო მიზნების მისაღწევად;
ყ) მართავს ასოციაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდს (ელექტრონული მისამართს).
შ) ცნობის სახით ატყობინებს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტით გამგეობის წევრებს მისი შვებულების, მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციას;
ჩ) ხელს აწერს გამგეობის, საერთო კრებისა და ასოციაციის ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტაციას და გამგეობისა და საერთო კრების სხდომის ოქმებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს;
ც) თავმჯდომარის სამსახურეობრივი მივლიების, დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში სამსახურში არ ყოფნის ან დასვენების დღეების განსაზღვრის შესახებ საკითხები რეგულირდება სასამსახურო ხელშეკრულებით.

6.12. ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში
ა) მოადგილე თავმჯდომარის დავალებით ასრულებს თავმჯდომარის უფლებამოსილებების განსაზღვრულ ნაწილს. ასოციაციის თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს ახალი თავმჯდომარის არჩევნებამდე;
ბ) თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ასოციაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ორი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარის მოადგილეს;

## 7. ასოციაციის ქონება

7.1. ასოციაციის ქონება იქმნება საწევრი შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობებისა და სხვა კანონიერი შემოსავლებისაგან;
7.2. ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მის საწესდებო მიზნებს.

## 8. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

8.1. ასოციაციის რეორგანიზაცია (გაყოფა - დაყოფა ან გამოყოფა; შერწყმა - გაერთიანება ან მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისთვის/რეორგანიზაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.2. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება:
ა) ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;
ბ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით;
8.3. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილ ქონებას კანონმდებლობის შესაბამისად ანაწილებს სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც განსაზღვრავს ასოციაციის წევრთაგან საერთო კრება ფარული/ღია კენჭისყრით;
8.4. ასოციაციის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების მიღწევას;
ბ) გასხვისება ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
8.5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება მის დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

## მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

ხელმძღვანელობასა და წარმომომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირი
ასოციაციის თავმჯდომარე

..........................................................................

ხელმოწერა

დანართი #2

# სადამფუძნებლო შეთანხმება

(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* - სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

სამართლებრივი ფორმა --- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

*საფირმო სახელწოდება --- "სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"
უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით

* საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე --- Institute of social changes and development
უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

* იურიდიული მისამართი --- საქართველო, ქ. გორი, რუსთაველის ქ.N19ა
ორგანიზაციის ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი
ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი --- marimg4@gmail.com;

(არსებობის შემთხვევაში - ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინური შრიფტით)
ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი + 995 599534045;
(არსებობის შემთხვევაში)

*დამფუძნებლები
ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო

| სახელი, გვარი | დაბადების თარიღი | პირადი ნომერი | დაბადების ადგილი | საცხოვრებელი ადგილი | პროფესია |
|---|---|---|---|---|---|
| მარინე მღებრიშვილი | 05.01.1968 წ | 59001011066 | ქ. გორი | ქ.გორი, შ. რუსთაველის ქ. #19; | ეკონომისტი; სოციალური სამუშაოს მაგისტრი |
| ლია გორელიშვილი | 03.09.1973 წ | 59001037970 | ქ. გორი | ქ. გორი, შ. რუსთაველის ქ. #28 | პედაგოგი |
| ხვიჩა პოსოშვილი | 24.03.1987 წ | 59001035947 | ქ. გორი | ქ. გორი, ელიოზიშვილის 15/2 | ეკონომისტი; სოც. მუშაკი |
| მარიამ გოჩიაშვილი | 17.07.1971 წ. | 59001018510 | ქ. გორი | ქ. გორი, ბაქოს ქ. 8/33 | ფსიქოლოგი |

სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი

*ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი/პირები
(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია)
ასოციაციის თავმჯდომარე მარინე მღებრიშვილი ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი";

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი
(რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

მარინე მღებრიშვილი პ/ნ 59001011066, მისამართი - ქ. გორი, შ. რუსთაველის ქ. #19

*** სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი**

marimg4@gmail.com;

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინური შრიფტით)

+ 995 5 99534035

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

მმართველი ორგანო: წევრთა საერთო კრება, გამგეობა

გამგეობის წევრები:

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

| სახელი, გვარი | დაბადების თარიღი | პირადი ნომერი | დაბადების ადგილი | საცხოვრებელი ადგილი | პროფესია |
|---|---|---|---|---|---|
| მარინე მღებრიშვილი | 05.01.1968 წ | 59001011066 | ქ. გორი | ქ.გორი, შ. რუსთაველის ქ. #19; | ეკონომისტი; სოციალური სამუშაოს მაგისტრი |
| ლია გორელიშვილი | 03.09.1973 წ | 59001037970 | ქ. გორი | ქ. გორი, შ. რუსთაველის ქ. #28 | პედაგოგი |
| ხვიჩა პოსოშვილი | 24.03.1987 წ | 59001035947 | ქ. გორი | ქ. გორი, ელიოზიშვილის 15/2 | ეკონომისტი; სოც. მუშაკი |
| მარიამ გოჩიაშვილი | 17.07.1971 წ. | 59001018510 | ქ. გორი | ქ. გორი, ბაქოს ქ. 8/33 | ფსიქოლოგი |

* საქმიანობის მიზანი და ამოცანები:

- ასოციაციის ძირითადი მიზანია ბავშვების, ახალგაზრდებისა და ადგილობრივი თემის განვითარება.
- სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური მიმართულებების მხარდაჭერა;
- ფორმალური, არაფორმალური, პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მხარდაჭერა;
- საბაზო და ალტერნატიული მომსახურებების განვითარება.

დანართი: წესდება

1. ..................................................................................................................................................

................................... დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერა

2. ..................................................................................................................................................

................................... დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერა

3. ..................................................................................................................................................

...................................დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერა.

4. ..................................................................................................................................................

...................................დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერა

5. ..................................................................................................................................................

...................................დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერა

ხელმძღვანელობასა და წარმომომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირი
ასოციაციის თავმჯდომარე

..............................................................................................

ხელმოწერა

კრების მდივანი

..............................................................................................

ხელმოწერა

თარიღი: ---------------------------------------

„სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი“

# წესდება

(კონსოლიდირებული ვერსია)

2024წელი

## 1. ზოგადი დებულებანი

1.1. ასოციაცია „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი" (შემდგომში „ასოციაცია"), არის იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმებისა და ამ წესდების შესაბამისად;
1.2. ასოციაციის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (შემდგომში „ასოციაცია");
1.3. ასოციაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
1.4. ასოციაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, რუსთაველის ქ. #19/ა ;
1.5.ასოციაციის სახელწოდებაა „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი";
1.6. ასოციაციის ელექტრონული ფოსტა: marimg4@gmail.com;

## 2. მიზნები და ამოცანები

2.1. ასოციაციის მირითადი მიზანია ბავშვების, ახალგაზრდებისა და ადგილობრივი თემის განვითარება.

2.2. ასოციაციის ამოცანებია:
2.2.1 სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური მიმართულებების მხარდაჭერა;
2.2.2 ფორმალური, არაფორმალური, პროფესიურლი განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მხარდაჭერა;
2.2.3 საბაზო და ალტერნატიული მომსახურებების განვითარება

## 3. ასოციაციის საქმიანობის ფორმები

3.1. ასოციაცია დასახული მიზნების მისაღწევად:

ა) უზრუნველყოფს ბავშვების, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის მიზანმიმართულ დაგეგმვას და გამოყენებას;
ბ) ორგანიზებას უკეთებს მოსწავლე - ახალგაზრდობის დასვენების პროცესს შემეცნებით -საგანმანათლებლო საქმიანობასთან კომპლექსში;
გ) ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ სასკოლო საგნების ათვისებას სკოლისგარეშე შემეცნებითი მუშაობის ჩატარებით;
დ) პოპულარიზაციას უწევს და ნერგავს ახალ, პროგრესული სასწავლო მეთოდიკებს სასწავლო პროცესში;
ე) ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის მიერ საკუთარი უფლებების გაცნობის პროცესს;
ვ) დახმარებას უწევს სოციალურად დაუცველ კატეგორიებს, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს, ხელმოკლე ოჯახთა შვილებს, შეზღუდული შესამლებლობის მქონე მოზარდებს, მათ ოჯახებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის ხანდაზმული ასაკის კატეგორიას; შეისწავლის და გამოიკვლევს საზოგადოების, მათ შორის მოზარდების, ახალგაზრდების აზრს სხვადასხვა საკითხების შესახებ;
ზ) აწყობს შეხვედრებს, დისკუსიებს მოზარდებთან, ახალგაზრდებთან მოზარდთა აღზრდასთან და განათლებასთან დაკავშირებით;
თ) აწყობს შეხვედრებს, ექსკურსიებს, სხვადასხვა ტიპის ექსპედიციებს მოზარდების და ახალგაზრდების ბუნებასთან მჭიდრო კავშირის უზრუნველსაყოფად და სასწავლო პროცესის შესავსებად;

ი) აწყობს სეზონურ გამაჯანსაღებელ ბანაკებს დასვენებისა და შემეცნებითი მუშაობის შერწყმით სხვადასხვა მიმართულების, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისაგან;
კ) ორგანიზებას უკეთებს თემატურ კონკურსებსა და შეჯიბრებს;
ლ) ქმნის სასწავლო დაწესებულებას/დაწესებულებებს;
მ) კონსულტაციებს უწევს ბავშვებს სასწავლო პროცესისათვის მზადებაში; ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიულ კვალიფიკაციის ამაღლებას;
ნ) აღრიცხავს და იკვლევს ქუჩაში გამოსულ, მზრუნველობას მოკლებულ, ლტოლვილ, დევნილ ბავშვებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდების, ახალგაზრდების და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის ხანდაზმული კატეგორიისათვის მდგომარეობას. ქმნის პანსიონს/ სათემო, მათ შორის 24 საათიან მომსახურებას;
ო) ახორციელებს პროგრამებს სხვადასხვა კატეგორიის ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდათა მხარდასაჭერ და სხვა მოწყვლად ჯგუფებისთვის, მათ შორის ხანდაზმული კატეგორიისათვის;
პ) ქმნის 0-დან 18 წლის ბავშვების, მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმული კატეგორიის ფსიქო-სოციალურ, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო ცენტრებს;
ჟ) აწარმოებს საგამომცემლო საქმიანობას;
რ) წარმართავს და მონაწილეობას იღებს კვლევით მუშაობაში;
ს) ურთიერთობას ამყარებს ანალოგიური მიზნების მქონე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თანამშრომლობს სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივ სექტორთან;
ტ) ახორციელებს ინკლუზიური განათლების ხელშემწყობ პროექტებს;
უ) ახორციელებს სკოლამდელი აღზრდის ხელშემწყობ პროექტებს;
ფ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ასოციაცია ეწევა სამეურნეო და საწარმოო საქმიანობას საწესდებო ამოცანების შესრულების მიზნით; ასოციაციის მიზნების შესაბამისად ქმნის და ავითარებს სოციალურ საწარმოებს;
ქ) ახორციელებს კანონით ნებადართულ საქმიანობას ასოციაციის მიზნების შესაბამისად;
ღ) გეგმავს და წარმართავს ადვოკატირების კამპანიებს;

## 4. ასოციაციის წევრობა

4.1. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს და იცავს ამ წესდების მოთხოვნებს;
4.2. ასოციაციის წევრად მიღება და წევრობიდან გასვლა ხდება წერილობითი განცხადების საფუძველზე. წევრად მისაღებად აუცილებელია ასოციაციის არანაკლებ ორი წევრის წერილობითი რეკომენდაცია. გადაწყვეტილებას წევრად მიღების შესახებ იღებს გამგეობა განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

4.3. ასოციაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას;
გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
დ) გარდაცვალებისას;
4.3.1. ასოციაციის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე ასოციაციის თავმჯდომარე ინფორმაციას აწვდის გამგეობას.

4.4. ასოციაციის წევრი საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს თუ:
ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს;

ბ) იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას;
გ) გამგეობის წარდგინებით სიითი შემადგენლობის 2/3-ის გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან;
დ) თუ სისტემატურად არ ესწრება წევრთა საერთო კრებებს და არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
4.5. ასოციაციის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ;
4.6. პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ასოციაციის საქმიანობას, ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ასოციაციის საპატიო წევრად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება ასოციაციის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი;
4.7. ასოციაციიდან გარიცხულ პირს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

## 5. ასოციაციის წევრთა უფლება-მოვალეობანი

5.1. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:
ა) მონაწილეობდეს ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში;
ბ) აირჩიოს და არჩეული იქნეს ასოციაციის ორგანოებში;
გ) შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ასოციაციის პროგრამებში;
დ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობისა სხდომებში;
ე) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან მათი საქმიანობის შესახებ;
ვ) ასოციაციის მიზნების შესაბამისად ისარგებლოს ასოციაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

5.2. ასოციაციის წევრი ვალდებულია:
ა) დაიცვას ასოციაციის წესდება და შინაგანი წესი;
ბ) გაუფრთხილდეს ასოციაციის საქმიან რეპუტაციას, ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;
გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს ასოციაციის საქმიანობაში;
დ) გადაიხადოს საწევრო შესატანი გამგეობის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

## 6. ასოციაციის მმართველი ორგანოები
## (საერთო კრება და გამგეობა)

საერთო კრება

6.1. ასოციაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება. საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ დეკემბრის თვის მეორე ორშაბათს, ხოლო რიგგარეშე საერთო კრება - როცა ამას ასოციაციის ინტერესები მოითხოვს. საერთო კრების მოწვევა ხდება ასოციაციის გამგეობის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ;
საერთო კრების წევრებს კრების მოწვევის შესახებ კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის მითითებით, ეცნობებათ წერილობით, მათ შორის ელ. ფოსტით კრებამდე 7 დღით ადრე, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ;
6.1.1. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა ნახევარზე მეტი მაინც;
6.1.2. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, გამგეობა ორი კვირის ვადაში იგივე წესით მოიწვევს განმეორებით საერთო კრებას, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად;

6.1.3. კრების მუშაობას ხელმძღვანელობს ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც შეიმუშავებს კრების დღის წესრიგს და უზრუნველყოფს მის ჩატარებას. ღია კენჭისყრით აირჩევა კრების მდივანიც;

6.2. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ან წესდების ახალი რედაქციის მიღების თაობაზე - 2/3-ის უმრავლესობით. გადაწყვეტილება ნამდვილია მაშინ, თუ საკითხი კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით;

6.2.1. საერთო კრების ჩატარებისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დგება ოქმი. კრების გადაწყვეტილება ფორმდება კრების ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ ასოციაციის თავმჯდომარე და კრების მდივანი. საერთო კრების გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, გარდა იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც ძალაში შედის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისას;

6.2.2. საჭიროებისამებრ ასოციაციის საერთო კრება შეიძლება იქნეს მოწვეული ონლაინ რეჟიმში. ამ ფორმით ჩატარებულ სხდომაზე ვრცელდება იგივე წესი რაც წესდების 6.1. - 6.2.2. პუნქტებით არის გათვალისწინებული.

6.3. საერთო კრებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში :

ა) შეაქვს ცვლილებები წესდებაში ან ამტკიცებს წესდების ახალ რედაქციას;

ბ) ღია ან ფარული კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის გამგეობის წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში დაუყონებლივ იმართება ხელახალი კენჭისყრა იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც დააგროვებს ხმების უმრავლესობა;

გ) ისმენს ასოციაციის თავმჯდომარის წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარადგენს ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;

დ) იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის თაობაზე;

ე) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება გამგეობის კომპეტენციას.

6.4. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა:

- ასოციაციის გამგეობის მიერ საკუთარი ინიციატივით;
- თავმჯდომარის ან ასოციაციის წევრთა მეათედის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;

## გამგეობა

6.5 ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა 4 წევრისაგან შემდგარი გამგეობა, რომლიდანაც 2 წევრს 10 წლის ვადით ღია ან ფარული კენჭისყრით ირჩევს საერთო კრება ასოციაციის წევრთაგან ან/და არაწევრ პირებიდან ასოციაციის წევრის წარდგინებით, ხოლო გამგეობის 2 წევრი არის გამგეობის მიერ არჩეული ასოციაციის თავმჯდომარე და ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ახალი გამგეობის არჩევნებამდე;

6.6. გამგეობის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ და მოიწვევა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის წევრთა 1/3 -ის მოთხოვნით წელიწადში ერთხელ მაინც. გამგეობის წევრებს გამგეობის მოწვევის შესახებ გამგეობის სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის მითითებით, ეცნობებათ წერილობით, მათ შორის ელ. ფოსტით სხდომამდე 7 დღით ადრე, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ;

6.6.1. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხოლო ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია ასოციაციის თავმჯდომარის ხმა;
6.6.2. გამგეობის სხდომებს ხელმძღვანელობს ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც შეიმუშავებს გამგეობის სხდომის დღის წესრიგს და უზრუნველყოფს გამგეობის სხდომის ჩატარებას. ღია კენჭისყრით აირჩევა სხდომის მდივანი;
6.6.3. გამგეობის სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით;
6.6.4 გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ ასოციაციის თავმჯდომარე და მდივანი, გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, გარდა იმ გადაწყვეტილებისა რომელიც ძალაში შედის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისას;

6.7. საჭიროებისამებრ გამგეობის სხდომა შეიძლება იქნეს მოწვეული ონლაინ რეჟიმში. ამ ფორმით ჩატარებულ გამგეობის სხდომაზე ვრცელდება იგივე წესი, რაც წესდების 6.6. – 6.6.4 პუნქტებით არის გათვალისწინებული.

6.8. გამგეობის წევრს ვადამდე უფლებამოსილება უწყდება:
ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას;
გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
დ) გარდაცვალებისას;
6.8.1. გამგეობის წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის თავმჯდომარე, რის თაობაზეც ინფორმაციას აწვდის გამგეობას და საერთო კრებას;
6.8.2. გამგეობის წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილს უფლებამონაცვლეობის პრინციპით იკავებს ის პირი, ვინც გამგეობის წევრთა არჩევის დროს მეტი ხმა დააგროვა. გამგეობის ახალი წევრის უფლებამოსილება გრძელდება გამგეობის ახალი ვადით არჩევნებამდე;
6.8.3. არჩეული გამგეობის წევრი საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს თუ:
ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს;
ბ) იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას;

**6.9. გამგეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში :**
ა) ასოციაციის წევრთაგან ღია ან ფარული კენჭისყრით ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარეს და მისი წარდგინებით ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილეს;
ბ) მოიწვევს წევრთა საერთო კრებას და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მის გამართვას;
გ) თანხმობას აძლევს ასოციაციის თავმჯდომარეს მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის პროგრამებში/პროექტებში შესაბამისი ანაზღაურებით;
დ) ასოციაციის თავმჯდომარიის წარდგინებით ამტკიცებს 5 წლიან სტრატეგიულ გეგმას. ისმენს ასოციაციის ყოველწლიურ სიტყვიერ/თემატურ და ფინანსურ ანგარიშებს;
ე) თავმჯდომარის წარდგინებით ღია ან ფარული კენჭისყრით ირჩევს ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილეს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით;
ვ) ფარული კენჭისყრით წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს ასოციაციის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს;
ზ) ღია ან ფარული კენჭისყრით წყვეტს ასოციაციის წევრად მიღების საკითხებს. ადგენს საწევრო შენატანის ოდენობასა და განსაზღვრავს საწევრო შენატანის გადახდის წესს;
თ) გამგეობის წევრები თავისი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციებს უწევენ ასოციაციას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
ი) ირჩევს ასოციაციის ბეჭვდითი ორგანოს სარედაქციო საბჭოს;

ვ) იღებს სხვა გადაწყვეტილებებს ასოციაციის საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ლ) ასოციაციის თავმჯდომარეს აძლევს თანხმობას ასოციაციის მიზნების შესაბამისად შექმნას და განავითაროს:
ლ.1. სოციალურ საწარმოები;
ლ.2. 0-დან 18 წლის ბავშვების ფსიქო-სოციალურ, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო ცენტრები და სამეურნეო და სამეწარმეო ობიექტები, პანსიონი/სათემო, მათ შორის 24 საათიანი მომსახურების ობიექტები;
ლ.3. სასწავლო დაწესებულებები;
ლ.4. გაერთიანდეს სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან (კოალიცია);
ლ.5. ჩამოაყალიბოს სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირები და მონაწილეობა მიიღოს მათ მართვაში და საქმიანობაში;
ლ.6. სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პრებთან ან/და ფიზიკურ პირებთან ერთად ჩამოაყალიბოს სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და მონაწილეობა მიიღოს მათ მართვაში და საქმიანობაში;
მ) ასოციაციის თავმჯდომარეს აძლევს თანხმობას შეიძინოს და განკარგოს უძრავი და მოძრავი ქონება „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-ს საწესდებო მიზნების მისაღწევად;
ნ) ასოციაციის თავმჯდომარეს აძლევს თანხმობას განკარგოს ასოციაციის ფულადი სახსრები და მატერიალური რესურსები და აკისრებს პასუხისმგებლობას მათ სწორ გამოყენებაზე; ხელი მოაწეროს ასოციაციის ოფიციალურ და ფინანსურ დოკუმენტაციას;
ო) დებს ასოციაციის თავმჯდომარესთან სასამსახურო ხელშეკრულებას, რომლითაც გამგეობა აძლევს ასოციაციის წარმომადგენლობით და ხელმძღვანელობით უფლებას, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე უხელმძღვანელოს პროექტებს/პროგრამებს, მონაწილეობა მიიღოს პროექტების განხორციელებაში და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება.

ასოციაციის თავმჯდომარე

6.10. ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ასოციაციის თავმჯდომარე;
6.10.1. ასოციაციის თავმჯდომარეს გამგეობა ასოციაციის წევრთაგან ირჩევს 1 წლის ვადით, ხელახლა არჩევის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება მისი უფლებამოსილების ახალი ვადის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული თავმჯდომარის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა;
6.10.2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ასოციაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. თავმჯდომარე თავის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად;
6.10.3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს ასოციაციის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თავმჯდომარეს აქვს ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;
6.10.4 ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის გამგეობის სხდომების თავმჯდომარე;
6.10.5 ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ასოციაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ორი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს;
6.10.6. თავმჯდომარეს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, თავმჯდომარე ვალდებულია დაიცვას ორგანიზაციასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები;

6.10.7. ასოციაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი არის ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

**6.11. თავმჯდომარე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:**

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად; ბ) წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გ) ახორციელებს ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე;

დ) განკარგავს ასოციაციის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე. ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;

ე) იწვევს საერთო კრებას და გამგეობის სხდომებს. ხელმძღვანელობს და წარმართავს გამგეობის საქმიანობას;

ვ) შეიმუშავებს ასოციაციის 5 წლიან სტრატეგიულ გეგმას ორგანიზაციის თანამშრომლებთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის გამგეობას. სტრატეგიული გეგმის შედგენა/შემუშავების პროცესში თავმჯდომარე უფლებამოსილია პროცესში ჩართოს ორგანიზაციის სტრატეგიული მომხმარებლიდან გამომდინარე ექსპერტები და დაინტერესებული პირები;

ზ) სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს ასოციაციის მომსახურე პერსონალს, თანამშრომლებს;

თ) ასრულებს ამ წესდებით, შინაგანაწესით და მოქმედი კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს;

ი) ამტკიცებს ასოციაცია „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-ს შინაგანაწესს;

კ) ამტკიცებს განსახორციელებელი პროგრამების პროექტებს;

ლ) დებს ხელშეკრულებებს პროგრამებთან/პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე ასოციაციის სახელით;

მ) გამგეობის თანხმობით ასოციაციის მიზნების შესაბამისად ქმნის და ავითარებს:

მ.1. სოციალურ საწარმოებს,

მ.2. 0-დან 18 წლის ბავშვების ფსიქო-სოციალურ, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო ცენტრებსა და სამეურნეო და სამეწარმეო ობიექტებს, პანსიონს/სათემო, მათ შორის 24 საათიანი მომსახურების ობიექტებს;

მ.3. სასწავლო დაწესებულებებს;

მ.4. აერთიანებს ასოციაციას სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პრებთან (კოალიცია);

მ.5. აყალიბებს სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს;

ნ) ქმნის სალექციო-საგამოფენო დარბაზს;

ო) ქმნის ბიბლიოთეკებს;

პ) აწარმოებს საგამომცემლო საქმიანობას;

ჟ) ახდენს უძრავი და მოძრავი ქონების შეძენას და განკარგვას „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი" -ს საწესდებო მიზნების მისაღწევად;

რ) მართავს ასოციაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდს (ელექტრონული მისამართს).

ს) ცნობის სახით ატყობინებს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტით გამგეობის წევრებს მისი შვებულების, მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციას;

ტ) ხელს აწერს გამგეობის, საერთო კრებისა და ასოციაციის ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტაციას და გამგეობისა და საერთო კრების სხდომის ოქმებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს;

უ) თავმჯდომარის სამსახურეობრივი მივლინების, დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში სამსახურში არ ყოფნის ან დასვენების დღეების განსაზღვრის შესახებ საკითხები რეგულირდება სასამსახურო ხელშეკრულებით.

6.12. ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში
ა) მოადგილე თავმჯდომარის დავალებით ასრულებს თავმჯდომარის უფლებამოსილებების განსაზღვრულ ნაწილს. ასოციაციის თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში ასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს ახალი თავმჯდომარის არჩევნებამდე;
ბ) თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ასოციაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ორი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარის მოადგილეს;

## 7. ასოციაციის ქონება

7.1. ასოციაციის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობებისა და სხვა კანონიერი შემოსავლებისაგან;
7.2. ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მის საწესდებო მიზნებს.

## 8. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

8.1. ასოციაციის რეორგანიზაცია (გაყოფა - დაყოფა ან გამოყოფა; შერწყმა - გაერთიანება ან მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისთვის/რეორგანიზაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.2 ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება:
ა) ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;
ბ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით;
8.3. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილ ქონებას კანონმდებლობის შესაბამისად ანაწილებს სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც განსაზღვრავს ასოციაციის წევრთაგან საერთო კრება ფარული/ღია კენჭისყრით;
8.4. ასოციაციის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების მიღწევას;
ბ) გასხვისება ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
8.5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება მის დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

## მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

ხელმძღვანელობასა და წარმომომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირი
ასოციაციის თავმჯდომარე

..........................................................................

ხელმოწერა

დანართი #3

ა(ა)იპ „სოციალური ცვლილებებისა და განვითარების ინსტიტუტი"-სთვის გადასაცემი

აქტივების ნუსხა:

| № | მოძრავ/უძრავი ქონების მისამართი | საკადასტრო კოდი | ფართობი მ2 |
|---|---|---|---|
| 1 | უძრავი ქონება, ქ. გორი, რუსთაველის ქ. 19ა | 66.45.25.081 | 236.35 |
| 2 | უძრავი ქონება, გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ატენი | 66.60.14.350 | 824 |
| 3 | მოძრავი აქტივები, ქ. გორი, რუსთაველის ქ. 19ა | 66.45.25.081 | |
| 4 | ფულადი სახსრები | | |